საჯარო სამსახურში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ფუნქციონირების სოციალური გარემო

გენადი იაშვილი
სტუ-ს პროფესორი
ნანა ბრეგაძე
სტუ-ს დოქტორანტი
E-mail: beso888888888@gmail.com

რეზიუმე

თანამედროვე დროში, მმართველობითი გადაწყვეტილება საჯარო სამსახურში სოციალური მოქმედებებისა და ურთიერთქმედების თვალსაზრისით განიხილება.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ საჯარო სამსახურში გადაწყვეტილების მიღების გარემოში იგულისხმება იმ განსაზღვრული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და ასევე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზე ზემოქმედებენ.

სოციალური მექანიზმი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ურთიერთობების რეგულირების მექანიზმია, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებისა და ადამიანთა ერთიანობის, სოციალური სტრუქტურის ელემენტების, ასევე საზოგადოებაში სოციალური პროცესების ურთიერთქმედების დროს წარმოიქმნება. აღსანიშნავია, რომ სოციალური მექანიზმები განსაზღვრულ პირობებში ფუნქციონირებენ, ხოლო სოციალური გარემო ადამიანის ცხოვრების სოციალური პირობების ერთობლიობაა, რომელიც გავლენას ახდენს მის ცნობიერებასა და ქცევაზე.

სტატიაში აღნიშნულია, რომ სოციალურ მექანიზმებში მატერიალური და სულიერი ღირებულებები - საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მოვლენები იგულისხმება.

მოცემულ სტატიაში განხილულია საჯარო სამსახურში გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ფუნქციონირების სოციალური გარემო.

საკვანძო სიტყვები: საჯარო სამსახური, გადაწყვეტილების მიღება, სოციალური გარემო, გადაწყვეტილების მიმღები, ორგანიზაცია.

მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების თეორია განხილულია მსოფლიოში ცნობილი მეცნიერების ნაშრომებში. კერძოდ, ო. მორგენშტერნისა და პ. ნიუმანის ეკონომიკურ შრომებში, ასევე ჩ. ბერნარდის, მ. ვებერის, გ. საიმონის და სხვების პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ თეორიებში. ამ თეორიებში გაანალიზებულია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისათვის აუცილებელი საკითხები, რომლებიც ეხება მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მეთოდებს, საინფორმაციო პროცესების საკითხებს და მახასიათებლებს. მაგრამ მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის ცნება, მიუხედავად მისი ფართოდ გამოყენებისა, სამეცნიერო ლიტერატურაში არ არის ფართოდ დამუშავებული. ამიტომ სახელმწიფო სამსახურში მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესწავლა ძალზე აქტუალური ამოცანაა, როგორც პრაქტიკული თვალსაზრისით, ასევე მართვის თანამედროვე სოციოლოგიის განვითარების თვალსაზრისით. [1]

სოციალური მექანიზმი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ურთიერთო-ბების რეგულირების მექანიზმია, რომლებიც ჯგუფებისა და ადამიანთა ერთიანობის, სოციალური სტუქტურის ელემენტების, საზოგადოებაში სოციალური პროცესების სხვადასხვა მხარეების ურთიერთქმედების დროს წარმოიქმნება. სოციალური ცვლილებების მექანიზმი ასევე განისაზღვრება მიზეზ-შედეგობრივ კავშირად, რომელიც სოციალური პროცესების სტრუქტურულ კომპონენტებს შორის წარმოიქმნება. სოციოლოგიური თვალსაზრისით მექანიზმი განიხილება როგორც სისტემა. მაგრამ მექანიზმი არ არის მხოლოდ სისტემა, რომელიც ელემენტების ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს. მექანიზმი რეალურად მოიცავს მეთოდებსა და ტექნოლოგიებს,

სუბიექტ-ობიექტურ დამოკიდებულებებს, ასევე პირობებს, რომელშიც ხდება გადაწყვეტილებების მიღება და ა.შ. მექანიზმის განმასხვავებელი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აერთიანებს ყველა ელემენტს და ახდენს მათ ორგანიზებას. ჩვენს მიერ წარმოდგენილ ნახაზზე მოცემულია "გადაწყვეტილების მიღების არსებითი ელემენტები".

აღსანიშნავია, რომ მიზეზ-შედეგობრივ კავშირს მთელი რიგი განმასხვავებელი მახასიათებლები გააჩნია. საუბარია მოვლენების არა აბსოლუტურ განსაზღვრაზე, ვინაიდან სოციალური და თვითორგანიზებადი სისტემების ფარგლებში ეს ფაქტობრივად შეუძლებელია, მაგრამ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები განსაზღვრულ სავარაუდო დამოკიდებულებას შეიცავენ: მოვლენა - შედეგის დადგომის ერთ–ერთი შესაძლო მიზეზია, მაგრამ მიზეზის წარმოქმნა ზრდის შედეგის მიღების ალბათობას. [2]

გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების საკვანძო ელემენტების განსაზღვრით თანამედროვე მეცნიერებაში გამოვლინდა გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის მნიშვნელობა. ამასთან, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების არჩევა არ არის მხოლოდ სუბიექტის შინაგან მდგომარეობაზე დამოკიდებული. იგი დამოკიდებულია ასევე სუბიექტისადმი გარე ფაქტორებსა და პირობებზე. ასევე საკვანძო ელემენტს წარმოადგენს სოციალური კომპონენტები, რომელშიც მოიაზრება სოციალური პროცესები და პირობები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება გადაწყვეტილება და რეალიზდება მექანიზმები. სოციალური მექანიზმები განსაზღვრულ პირობებში ფუნქციონირებენ. სოციალური გარემო ადამიანის ცხოვრების სოციალური პირობების ერთობლიობაა, რომელიც გავლენას ახდენს მის ცნობიერებასა და ქცევაზე. სოციალური პირობები ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიმღებ სუბიექტზე, მის არჩევანზე და განაპირობებენ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების ფუნქციონირებას [3].

გადაწყვეტილების მიღების გარემოში იგულისხმება ის განსაზღვრული ფაქტორების ერთობლიობა, რომლებიც ზემოქმედებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე, ასევე გადაწყვეტილების მიღების მექანიზმზე. „მმართველობითი გადაწყვეტილებები ერთის მხრივ კონკრეტული პიროვნებების მიერ განხორციელებული მმართველობითი მოქმედებების პროცესის ნაწილია, მეორეს მხრივ კი - ორგანიზაციული სისტემის ფუნქციონირების პროცესის ნაწილი.

სოციალური მექანიზმებში იგულისხმება მატერიალური და სულიერი ღირებულებები - საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მოვლენები. საჯარო სამსახური შეიძლება განვიხილოთ როგორც საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტი. ხოლო მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მექანი-

გადაწყვეტილების მიღების არსებითი ელემენტები:

1) რომელიმე თანმიმდევრობა, ერთობლიობა, მოქმედებებისა და ურთიერთქმედების სისტემა, მეთოდები, მოქმედებების ტექნოლოგიები და ა.შ. რომლთაც მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება ახასიათებს;

2) მექანიზმი გულისხმობს მოქმედებას;

3) მექანიზმს გააჩნია მატარებელი, მას კი განსაზღვრული ორიენტირები (ტრადიციების პრიორიტეტი, ღირებულებები, მიზნები და ემოციები). სწორედ ამ ორინტირებზეა დამოკიდებული გადაწყვეტილების მიღებისათვის საშუალებების, მეთოდების, არჩევა.

4) მნიშვნელოვანია სოციალური კომპონენტების ჩართვა: სოციალური სუბიექტების, სოციალური პროცესების, სოციალური სისტემების, პირობების, რომელთა ფარგლებში მექანიზმების დახმარებით ხორციელდება გადაწყვეტილების მიღება.

ნახაზი 1. გადაწყვეტილების მიღების არსებითი ელემენტები

ზმების განმსაზღვრელი ფაქტორები შეიძლება პირობითად ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს, კერძოდ: გარე და შიდა ფაქტორებად.

ორგანიზაციის გარე გარემო მოიცავს მომხმარებელთა მომსახურებას კონკრეტულ შემთხვევაში, სოციოკულტურულ ფაქტორებს, გადაწყვეტილების მიღების სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთქმედების დონეს და ა.შ. შიდა გარემო ორგანიზაციის შიდა ფაქტორებისაგან შედგება - სამუშაოს მიზნები და ამოცანები, სტრუქტურა, კადრები და ტექნოლოგიები. ბიუროკრატიული ორგანიზაციის შიდა გარემო ასევე გავლენას ახდენს ორგანიზაციული ურთიერთობების ფორმირებაზე. ბიუროკრატები საკუთარ საქმიანობას ანხორციელებენ ორგანიზაციის საზღვრებს მიღმა და ორგანიზაციის მიზნების რეალიზებას გარე სუბიექტებთან (მოქალაქეებთან, ორგანიზაციებთან და ა.შ.) ურთიერთქმედებით ახდენენ [4].

თანამშრომლობა (კოოპერაცია) სახელმწიფო სამსახურში შეიძლება განვიხილოთ როგორც ფუნდამენტური საკითხი პროფესიულ მოღვაწეობაში. მისი საბოლოო მომხმარებელია საზოგადოება, მისთვის აუცილებელია არა კონკრეტული საჯარო მოხელის, არამედ ერთობლივი შრომის შედეგი. ხოლოდ ერთი კონკრეტული საჯარო მოხელე ვერ შეძლებს საზოგადოებისათვის სასურველი პროდუქტის წარმოებას ან მომსახურების გაწევას. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ფარგლებში ეს შეეხება არა ერთ რომელიმე ორგანოს, არამედ მათ ურთიერთქმედებასა და თანამშრომლობას, რაც მნიშვნელოვანია სახელმწიფო სამსახურის ყველა კატეგორიის თანამდებო-ბისათვის.

დასკვნა

ამრიგად, მმართველობითი გადაწყვეტილების მიღების მექანიზმი არის მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ჯაჭვი, რომელსაც კონკრეტულ სოციალურ გარემოში გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტი ფუნქციონალურ - სამოქმედო ორიენტაციაზე (ტრადიციაზე, ღირებულებებზე, ემოციაზე ან მიზანზე თავისი ფუნქციის განხორციელების ფარგლებში) დაყრდნობით აგებს.

გადაწყვეტილების მიმღები სუბიექტის სამოქმედო ორიენტაციაში იგულისხმება მოქმედებების ის ტიპი, რის საფუძველზეც იგება კავშირები. ამრიგად, მექანიზმს საფუძვლად უდევს ტრადიციული, ეფექტიანი, ღირებულებით-რაციონალური და მიზანმიმართული მმართველობითი გადაწყვეტილებები.

სოციალურ კონტაქტს ადგილი აქვს ფსიქოლოგიურ დონეზე. რეალობაში კონკურენციის პროცესში ადამიანების ურთიერთქმედება ყოველთვის უკავშირდება ისეთ პროცესებს, როგორიც არის კონფლიქტი, შეგუება და ასიმილაცია. ამიტომ კონკურენციის პროცესი შესაძლოა ყველა სახეობის მართვაში გამოვლინდეს, მაგრამ მეტად დამახასიათებელია იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვისათვის, რადგან სწორედ გადაწყვეტილების მიღების დროს მწვავდება ბრძოლა. კონკურენცია შეიძლება წარმოებდეს საჯარო მოხელეებს შორისაც, მაგრამ ვინაიდან კონკურენცია რესურსების განაწილებისათვის ბრძოლას გულისხმობს, იგი „ხელმძღვანელი" კატეგორიისათვის მეტად არის დამახასიათებელი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Руденко Лариса - "Механизмы принятия управленческих решений в государственной гражданской службе (социологический анализ)". Москва. 2010
2. Бушкова-Шиклина Э.В. - Ценностные ориентации менеджеров и процесс принятия управленческих решений: корреляционные связ. Нижний Новгород, 2007. С. 44.
3. Кравченк А.И., Тюрин И.О. Социологи управления. - М.: Академически проект; Трикста, 2004. С. 340.
4. Öffentliche Verwaltung und Sozialarbeit: Lehrbuch zu Strukturen, bürokratischer Aufgabenbewältigung und sozialpädagogischem Handeln der Sozialverwaltung Friedrich Ortmann. Juventa-Verlag, 2001.

THE SOCIAL ENVIRONMENT OF DECISION MAKING MECHANISMS IN PUBLIC SERVICE

GENADI IASHVILI
Professor of GTU
NANA BREGADZE
PhD Student of GTU
E-mail: beso88888888@gmail.com

Summary

In modern times, the management decision is considered in terms of social actions and interaction in public service.

The social mechanism is for regulating socially important relationships that are during the interaction of different groups and people's unity, elements of social structure, as well as social processes in society.

It is noteworthy that the decision-making environment in public service implies a set of factors that affect the decision-making process and decision-making mechanism.

The management decisions are part of the process of managing actions carried out by individuals on the one hand, and on the other hand it should be considered as part of the functioning of the organizational system.

In the Article is written, that the material and spiritual values of social mechanisms are meant for public perceptions and public awareness.

In this article is discussed the social environment of decision-making mechanisms in public service.

Keywords: Public service, decision making, social environment, decision makers, organization.